

ნინო სამსონია
Nino Samsonia

„ოქროს საწმისის“ კვალი შუმერულ ტექსტში
Traces of the "Golden Fleece" in a Sumerian Text

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: შუმერული, შუამდინაჰეთი, ოქროს საწმისი, ალქიმია.
key words: Sumerian, Mesopotamia, golden fleece, Alchemy.

შუმერული ეპოსის „ენმერქარი და არათას ბატონი“ ბუნდოვან პასაჟში (სტრ. 420-434), სადაც ალქიმიის უცნობი რიტუალი უნდა იყოს წარმოგვიდგენილი, ძველი კოლხური ცივილიზაციის საგანძურის – ოქროს სანმისის, უძველეს კვალს ვაწყდებით.

ჩვენი კვლევა არსებული ნაწყვეტის ანალიზს შეეხება, სადაც ალქიმიისთვის განკუთვნილ იარაღებს შორის, შესაძლოა, *ოქროს სანმისის* კვალიც დავინახოთ. ამასთანავე ჩვენ წინაშეა ალქიმიის ცოდნის უძველესი წერილობითი ნიმუში.

ალქიმიის სამშობლოდ შუამდინარეთი მიიჩნევა, სადაც უძველესი წერილობითი წყარო ნაბუქოდონოსორ I-ის მეფობის ხანას (ძვ.წ. XII ს.) განეკუთვნება, ჩვენამდე მოღწეული ბოლო ტექსტი კი აშურბანიპალის ბიბლიოთეკაშია შემონახული (ძვ.წ. VII ს.) [Oppenheim 1966: 32]

შუმერული ეპოსი „ენმერქარი და არათას ბატონი“ ურუქის პირველი დინასტიის (ძვ.წ. XXVII-XXVI ს.) მეფის, ენმერქარისა და შორეული ქვეყნის არათას დაპირისპირებაზე მოგვითხრობს. შუმერული ტექსტის ჩვენამდე მოღწეული ვერსიები კი ურის III დინასტიის პერიოდს (ძვ.წ. XXI ს.) და მომდევნო, ისინ-ლარსას პერიოდს (ძვ.წ. XIX) განეკუთვნება. ეპოსში მოთხრობილი ამბავი ქ. ურუქისა და შორეული არათას ქვეყნის დაპირისპირებით ვითარდება, რაც ეპოსში სხვადასხვა ამოცანის შესრულებით არის წარმოდგენილი. მწერლის მიზანი ქ. ურუქის დიდებაა. ეს დიდება სამხედრო ძლიერებაში და სამეფო ხელისუფლებაში არ გამოიხატება, არამედ შუმერთა კულტურულ ღირებულებებზეა დამყარებული, რაც სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკის სფეროში სხვადასხვა სიახლეების დანერგვას გულისხმობს. მაგალითად, ვაჭრობის გამოგონებას, რასაც გვაუწყებს „ენმერქარი და არათას ბატონის“ ტექსტი. იგივე ტექსტი მოგვითხრობს შუმერთა უხვ ხორბალზე და მის დამუშავებაზე (პირველი შეუძლებელი ამოცანა), ასევე მაღალი ტექნოლოგიით გარკვეული (შესაძლოა ხელოვნური) მასალის მიღებაზე, რითაც ურუქის მეფემ სკიპტრა უნდა შექმნას (მეორე შეუძლებელი ამოცანა), ქსოვილთა წარმოების მაღალ სტანდარტზე და ა.შ. [სამსონია 2009 :15-16].

სწორედ ტექსტის მეორე შეუძლებელი ამოცანა – სკიპტრის დამზადება უკავშირდება ჩვენთვის საინტერესო საკითხს, სადაც საქმე ალქიმიის უძველეს გამოცდილებასთან უნდა გვქონდეს.

სანამ უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო ტექსტს განვიხილავთ, თვალი გადავავლოთ ალქიმიის მანამდე ცნობილ შუამდინარულ ტრადიციას, სადაც ალქიმიის პირველი ეტაპის აღდგენა ხერხდება. არქეოლოგიური მასალა გვიჩვენებს, რომ ალქიმიური მოწყობილობები სამხარეულოს მოწყობილობიდან უნდა იღებდეს სათავეს, რაც თანდათან სხვადასხვა მოხმარებისთვისაც გამოყენებოდა. „ალქიმიურ“ ლურსმულ ტექსტთა კორპუსი კი მეტად ფრაგმენტულია. ისინი უმეტესად ფერადი ჭურჭლის (თასების) წარმოების წესებს შეიცავენ და განეკუთვნებიან, ძირითადად, ძვ.წ. XXII-VII ს.ს. არსებულ ტექსტებში უმეტესად აღწერილია სხვადასხვა მინერალების შერევა საღებავ სითხეში. რაშიც ხშირად ყრიდნენ მთის ბროლს, მინას და საღებავში ურევდნენ, რათა ძვირფასი ელფერი მიენიჭებინათ ქვისთვის ან მეტალისთვის.

მაგალითად, ერთი ტექსტი მოგვითხრობს, თუ როგორ უნდა მიეღოთ *dušu* – ქვა (რომელიდაც ძვირფასი ან ნახევრად ძვირფასი ქვა, ლურსმულ

ტექსტებში ლილაქისა და ოქროს გვერდით იხსენიება). „შენ ადულებ შაბს ძმარში, ამოავლებ ლილაქისფერ სითხეში, ჩადებ ცეცხლში (გამოწვავ) და მიიღებ *dušu* – ქვის მსგავსს. კოლოფონი: მოდის ბაბილონიდან, ნაბუქოდონოსორის (I) (ძვ.წ.1121-1100), ბაბილონის მეფის ქონება.

შემდეგი ტექსტი მოგვითხრობს ცდას ვერცხლის გაყალბების შესახებ: „ორი მინა გაპრიალებული (გარეცხილი) სპილენძი, 10 სიკლი კალა, 2 სიკლი [xxx]. ის დნება, ის ყალიბში [უნდა ისხმებოდეს] ზეთში და „ფქვილი“ უნდა გამოიწვას, უნდა გაიწმინდოს, (გაიწუროს?). (ეს ნივთები იქნება) *zibtu* – ვერცხლის. ამგვარი ვერცხლი [არ მოიპოვება]“. შუამდინარული ლურსმული ტექსტები არ შეიცავენ ალქიმიურ ფილოსოფიურ სარჩულს, რასაც მოგვიანებით ალქიმია მოიაზრებდა, თუმცა არსებული ტექსტები აშკარად მისტიური და სულიერი ხასიათის მატარებელია, რაც, ჩვეულებრივ, გარკვეულ რიტუალებს უკავშირდებოდა, ფერებსაც გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ.

ბერძნული ტერმინის „ალქიმის“ ეტიმოლოგია შეიძლება ლურსმული ტექსტებით ავსხნათ. აქადური ტერმინი *kamû/kawû* მეორე მნიშვნელობა არის „გამოწვა, შეწვა“. ძირი შემორჩენილია არამეულ ენაშიც „*kwy*“ – დანვა. შუამდინარული სიტყვის ძირი კი, მოგვიანებით ჭეშმარიტ მეცნიერებად იქცა და მისი აღმნიშვნელი სიტყვის – „ქიმიის“ მნიშვნელობას ეხმიანება [Romour 2018: 3-6].

ლ. ოპენჰაიმი მიიჩნევს, რომ ტექსტის ფრაგმენტის მიხედვით ალქიმის ორი რეცეპტი იკვეთება:

1. ხელოვნური *pappardillu* – ქვის მიღების
2. შექმნა *dušu-ქვის* მსგავსი მასალის (ძვირფასი ქვის)

ტექსტის NA4.BABBAR.DIL^{hi-pi} რაც შეიძლება წავიკითხოთ, როგორც *pappardillu*, ან თუ მეორე, ნიშანი დაკარგულია აგურზე გადაწერილია დაზიანებული ორიგინალიდან. როგორც NA4. BABBAR.DIL. [DIL] რომლის წაკითხვა შესაძლებელია როგორც *papparminû*.

არსებობს სხვა ვარიანტიც: *pappardillu-ქვას* (პირველი სტრიქონი) შესაძლოა ჰქონოდა მრგვალი ფორმა და გამოიყენებოდა ხელოვნური გემასთვის, რომელსაც მიცემული ჰქონდა *dušû-ქვის* ფერი. ის ნაკლებად ძვირი იყო, ვიდრე *dušû* -ქვა, თუ შეიცავდა სილიკატს კომბინირებულს შემკვრელ „ნითელ ტუტესთან“. მაშინ მას შუშისებრი ელფერი ექნებოდა, როგორც მინაქარს. ჩვენთვის ცოტა რამ არის ცნობილი *pappardillu-ქვის* შესახებ [Oppenheim 1966: 35].

პირველი რეცეპტი 3 ეტაპად შეიძლება დავყოთ:

ტექსტის ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ საქმე გვაქვს ქვების ან კრისტალების შეღებვასთან, თუმცა ტექსტში არაერთი აუხსნელი ტერმინი რჩება. არსებული ტექსტი ნაბუქოდონოსორ 1-ის მეფობის პერიოდს (ძვ.წ.1124-1103) განეკუთვნება [Oppenheim 1966: 29-45].

ტექსტის მიხედვით, არსებული ტექნიკის ტრადიცია გავრცელებული უნდა ყოფილიყო ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო მესამედში. როგორც ვიხილეთ, წარმოდგენილი ტექსტი გადაწერილია ძველი ვერსიიდან. აშკარაა, რომ

დამტვრეული ტექტი უნიკალურად მიიჩნეოდა და რეცეპტის შესანახად უნდა იყოს გადანერილი.

ზემოთ განხილული ორივე რეცეპტის ტექნოლოგია შემდეგნაირად გამოიყურება:

1. გაღობა, შერევა და ჩამოსხმა (მინერალების და მეტალების);
2. ჯერ კიდევ ცხელი ჩამოსხმული მასის მოვლა (ზეთით და ფქვილით);
3. გაციების შედეგად მიღებული მოდელის გაპრიალება-განმენდა.

ამ შემთხვევაში ფქვილი და ზეთი, სავარაუდოდ, ზედაპირის დამუშავებისთვის (გასაფრმკთალებლად?) გამოიყენებოდა. გაპრიალება კი ვერცხლის იმიტაციის ბოლო ეტაპს წარმოადგენდა. *Kuppuru*-განმენდა (გადანმენდა, ნაშლა) *abbubu* -გაპრიალება გაბრჭყვიალება.

მივუბრუნდეთ აშურბანიპალის ბიბლიოთეკის „ქიმიურ“ ტექსტს, საიდანაც მხოლოდ 8 სტრიქონია შემორჩენილი. ბოლო სტრიქონები ალქიმიკოსისადმი მიმართვაა, რომელსაც მუშაობის დროს სიფრთხილისკენ მოუწოდებს და, რაც მთავარია, **საიდუმლოს შენახვისკენ**. შემდეგ „ქიმიკოსი“ შლის თეთრ ზენარსა თუ ფარდას, თავად კი ნითელი სამოსით იმოსება. შემდეგ ადნობს და ურევს სხვადასხვა ნივთიერებებს, გამდნარ მასას ღვრის (ამოავლებს) სუფთა წყალში და შემდეგ იღებს. აქ ტექსტი წყდება, შემორჩენილია „ალქიმიკოსისადმი“ ინსტრუქციის მხოლოდ შემდეგი სიტყვება – **არ იყო გაუფრთხილებლად, არ აჩვენო ცდა არავის** [Oppenheim 1966: 41].

ორი ბერძნული ხელნაწერი ქიმიური წესებით, ერთი ე.წ. ლაიდენის X პაპირუსი და მეორეც მსგავსი ბერძნული ხელნაწერი, რომელიც გვიანი ძვ.წ. III საუკუნით თარიღდება [Oppenheim, 1966 : 41]. ეს ორი ვრცელი ელინისტური ხანის ხელნაწერი ეგვიპტურად მიიჩნეოდა ძველ საბერძნეთში, რადგან ეგვიპტე ალქიმიისა და ქიმიის სამშობლო იყო. რეალურად ბერძნულ ხელნაწერებში დაფიქსირებული ალქიმიის ცოდნა, რასაც ეგვიპტური წარმომავლობისად თვლიდნენ, ჯერ კიდევ ძვ.წ. XIII-VII ს.ს. შუამდინარეთში ფიქსირდება. ე.წ. ლაიდენის და სტოქჰოლმის ხელნაწერების ყველა რეცეპტი, რაც ალქიმიის 3 ეტაპს აღწერს:

1. ძვირფასი მეტალების მიღების მეთოდს (ოქრო, ვერცხლი და ოქრო-ვერცხლის შენადნობი), შენადნობების დამზადებით, რომელთა ფერი და ბრწყინვა ძვირფასი მეტალების (ოქრო-ვერცხლს) იმიტაცია იქნებოდა;

2. ქვების გაფერადების ტექნიკა ძვირფასად იმიტირებისთვის;

3. დაბოლოს (სადაფის) საღებავი პრიალის ეფექტისთვის.

ორივე ხელნაწერი, ძირითადად, პირველ ეტაპს აღწერს. შუამდინარეული ტექსტები (ბაბილონის ძვ.წ. XIII ს. და ნინევიის ძვ.წ. VII ს.) კი პირველ ორ ეტაპზე მოგვითხრობენ. შალის შეღებვის ტექნიკას, ოპენჰაიმის აზრით, შუამდინარეთში პარალელი არ მოეძებნება [Oppenheim 1966 :42].

როგორც ვიხილეთ, შუამდინარეთში ალქიმიის ცოდნის ამ დრომდე უძველესი წერილობითი წყარო ძვ.წ. XIII საუკუნით თარიღდება.

შუმერული ებოსი „ენმერქარი და არათას ბატონი“ კი ურუქის პირველი დინასტიის, პირველი მეფის ენმერქარის მეფობის ხანას განეკუთვნება, თუმცა ჩვენამდე მოღწეულია გადანერილი ვერსიები ურის III დინასტიიდან. ამგვარად, საქმე გვაქვს ალქიმიის ცოდნის უძველეს წერილობით დაფიქსირებასთან.

შუმერული ეპოსის „ენმერქარი და არათას ბატონის“ მიხედვით, მეორე შეუძლებელი ამოცანა, რომელიც არათას ბატონმა ენმერქარს დაავალა, არის სკიპტრის შექმნა განსაკუთრებული მასალით, რომელიც არ იქნება არც ხის, არც ქვის და არც ჩვეულებრივი – **თვითნაბადი ოქროსი და ვერცხლის**. ტექსტის ამ მონაკვეთში ჩამოთვლილია ხის სახეობები, ასევე ნახევრად ძვირფასი ქვები და ბოლოს, თვითნაბადი ოქრო და ვერცხლი (სტრ.400-408). შემდეგ ტექსტი მოგვითხრობს, თუ როგორ ასრულებს ენმერქარი მიცემულ დავალებას სიბრძნის ღმერთის, ენქის დახმარებით (420-434 სტრ.):

420. ენქიმ ენმერქარს შეაძლებინა არსს ჩანვდომოდა
421. ბატონმა უბრძანა ქვეშევრდომთა უფროსს.
422. თავის სახლ[ში ...]
423. მეფემ აიღო *თმით დაფარული*[...]
424. მან (მეფემ) გადაახვია (გადაგრიხა) და დახედა მას;
425. ფილთაქვით დანაყა, როგორც მცენარე
426. და ჩაასხა (მასა) ბრწყინვალე ლერწამში,
427. მზის სინათლიდან მან ის ჩრდილში გადაიტანა.
428. და ჩრდილიდან მზის სინათლეში გადაიტანა.
429. ხუთი, ათი წელიწადი გავიდა.
430. შემდეგ გააპო ბრწყინვალე ლერწამი ნაჯახით.
431. ბატონი სიამოვნებით დასცქეროდა
432. ძვირფასი ზეთი ჭავლით დაასხა, ბრწყინვალე მთის ზეთი.
433. შიკრიკს, რომელიც ნამყოფი იყო მთებში,
434. ბატონმა სკიპტრა ჩაუდო ხელში.

420. en-me-er-kar₂-ra ^den-ki-ke₄ ġeš₂tug₂ mu-na-/an\šum₂
421. en-e agrig maḥ-a-[ni] a₂ ba-da-/an\ag₂
422. e₂-ni? [...]
423. lugal-e /munsub(sumur₃?)\ [...] šu ba-ra-an-ti
424. mu-un-dul-gin₇ /šu\ bi₂-[in-gur-gur] igi bi₂-/in\ġa₂!-ġa₂!
425. ^{na4}na KA-KA šim-gin₇ /zu₂\ [ba-ni]-/in\ra
426. gi su-lim-ma-ka i₃-gin₇ mu-ni-in-de₂
427. ud-ta ġissu-še₃ am₃-ed₂-e
428. ġissu-ta ud-še₃ am₃-ed₂-e
429. mu ₅-am₃ mu ₁₀-am₃ ba-zal-[la]-ri
430. gi su-lim-ma ġiġ₄-gin₇ bi₂-in-gaz
431. en-e igi ḫul₂-la im-ši-in-bar
432. i₃-li i₃-li(li₂) kur šuba-a-ka sig₃-ga i-ni-in-de₂
433. en-e kiġ₂-gi₄-a kur-še₃ du-ur₂
434. ġidru šu-na mu-un-na-ġa₂-ġa₂

ტექსტის დეტალური ანალიზი: 420-ე სტრიქონში ვკითხულობთ, რომ ენქიმ ენმერქარს სიბრძნე უბოძა. ენქი შუმერთა სიბრძნის ღმერთია და პირველი ქალაქის ერიდუს უზენასი ღვთაება, რომელმაც სახლი აბზუ-ენგურში დაიდო (ქ. ერიდუსი ენქის ტაძარს E-ABZU ეწოდებოდა) [Samsonia 2021: 157-164]. თავიდანვე იკვეთება რიტუალის კავშირი სიბრძნის, *ენგურის* წყლებ-

თან. შემდეგ მეფემ თავის მამასახლისს უბრძანა (421) თავის სახლში (შინ) (422). მეფე იღებს გაურკვეველ ხელსაწყოს, **munsub(sumur₃?)** კომპოზიტის დაშლის შედეგად შესაძლოა ვთარგმნოთ, როგორც „თმით დაფარული“ ხელსაწყო (423) შემდეგ მეფემ **მუნსუბ** გადაგრიხა და დახედა (424).

425-ე სტრიქონი საინტერესოა, რადგან ლაპარაკია **მუნსუბ** გადაგრეხის შედეგად მიღებული (ჩამოფერთხილი, დარჩენილი) მასალის ქვასანაყით დანაყვავზე გობში და შედარებულია მცენარესთან – მცენარის სახელია – **šim**, რაც ითარგმნება, როგორც „სურნელოვანი მცენარე.“ საყურადღებოა, რომ არათას ციკლის ეპოსებში, რომელსაც ჩვენთვის საინტერესო ტექსტი განეკუთვნება, ეს მცენარე საზღვრად გვევლინება: სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე/ ჩრდილოეთიდან სურნელოვან ტყემდე“ [„ენმერქარი და ენსუბგირანა“, სტრ. 146-147; 160]. ამ შემთხვევაში, ხომ არ შესაძლოა საქმე გვექონდეს რომელიმე შორეული ქვეყნიდან მოტანილ ცოდნასთან, რაც ჩვენთვის საინტერესო რიტუალს უკავშირდებოდეს?

შემდეგ სტრიქონში გრძელდება მოქმედება, რაც მეტალურგიისა და ალქიმიის გარკვეულ ეტაპს უნდა უკავშირდებოდეს – მეფე მიღებულ მასას ყალიბში ასხამს (426) **Dé -ჩასხმა, მეტალებს უკავშირდება).**

427-428-ე სტრიქონებში ვკითხულობთ, როგორც ჩრდილისა და სინათლის მონაცვლეობას, ანუ გაციება და გაცხელება (სიტყვასიტყვით: დღე/ნათელი=ta(COM) ჩრდილი=še(TERM)). ამ ორ სტრიქონში პარალელიზმის პრინციპს ვხვდებით, რაც სახასიათოა შუმერული ლიტერატურული ტექსტებისთვის. 429-ე სტრიქონში ფიქსირდება გარკვეული დრო, ე.წ. მეტაფორული დრო, მოქმედების ხანგრძლივობის საჩვენებლად, ხუთმა-ათმა წელიწადმა ჩაირა და ცული დაჰკრა, გააპო ყალიბი (430) და მეფე სიხარულით დაჰყურებდა მიღებულ ნივთიერებას. სკიპტრას გასაპრიალებლად ზეთს ასხამს, რაც როგორც ზემოთ ვიხილეთ, ალქიმიის რიტუალის ბოლო ეტაპია. (431-432).

Šuba – ნიშნავს მრავალფერსაც, წმინდასაც, რაც ასევე ალქიმიის ცდის მიზანია. დაბოლოს, მეფემ შიკრიკს არათას ბატონისთვის დამზადებული სკიპტრა გადასცა.

423-ე სტრიქონი: **munsub(sumur₃?)**

munsub(sumur₃?) ორივე ფონეტიკურ ნიშანში ვხედავთ ერთსა და იმავე ლურსმულ ნიშანს



- sumur₃ - ქერი, სახურავი (ტყავი?)



^{su}munsub; munsub - თმა, ასევე დალაქიც

იგივე ნიშანი იკითხება, როგორც *munsub* -თმა. *munsub* – წარმოადგენს იშვიათ ფორმას, მეორე მნიშვნელობით არის მწყემსი, რაც ასევე ცხვრის ფარასთან კონტექსტში შეიძლება მოვიაზროთ. ვნახოთ სიტყვის მეორე დაწერილობა – *munsubz*; თმა (ვარცხნა)



munsub; *munsubz*; თმა (ვარცხნა, დალაქი)

არსებული სიტყვა წარმოადგენს კომპოზიტს – შედგენილი ზმნის ნაწილი – *KA* + ვარცხნა (თევზის სახეობაც არის) – *SUHUR*, რაც ასევე საინტერესო უნდა იყოს სვანური წესით ოქროს მოპოვების კონტექსტისთვის.



KA- შედგენილი ზმნის ნაწილი+



suhur – ვარცხნა



suhur – [გაკრეჭვა, ფორმის მიცემა] ასევე იშვიათ ფორმას წარმოადგენს და ლურსმულ ტექსტებში მხოლოდ ძვ.წ. 3000-2000 წ.წ-მდე 3-ჯერ ფიქსირდება.

423-ე სტრიქონის წაკითხვა „თმით დაფარული ზედაპირი, სახურავი“ შეიძლება ცხოველის ბეწვად მივიჩნიოთ, თუმცა ამ კონტექსტში არ ჩანს, თუ რისი თმა ან ბეწვია. თუმცა, როგორც ზემოთ განხილულ ალქიმიის ტექსტებში ვიხილეთ, ცოდნა საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო და, შესაძლოა, აქ ცხვრის ტყავის „საწმისის“ ნაცვლად საიდუმლო სახელთან გვექონდეს საქმე. ტექსტის კონტექსტიდან გამომდინარე, გარკვეული იარაღია, რომელიც განსაკუთრებული ნივთიერების მისაღებად გამოიყენება ალქიმიის რიტუალში. ტექსტის ბუნდოვანი პასაჟი, შესაძლოა, ამგვარად აღდგეს: **როდესაც მეფე ოქროს მტვერს ჩამოხერტყავს – „მუნსუბ-ბეწვიდან“ გადაგრეხით, როგორც ალქიმიის წესია მინარევისთვის. ნაყავს გობში ქვასანაყით, როგორც მცენარეს, ადულებს და აცივებს, მასას ასხამს ყალიბში, ხსნის (გაჩეხავს) ყალიბს და ასხამს ზეთს (აპრიალებს).**

შუმერულ ტექსტში იკვეთება მსგავსება ენგურის აუზის ოქროს მოპოვებისა და დამუშავების წესთან. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამავე, არათას ციკლის ყველა ეპოსში ნახსენებია ოქროს მტვერი, რომელიც უხვად არის შორეულ ქვეყანა არათაში. ხოლო, საბოლოოდ, როდესაც ენმერქარი არათას ქვეყანაზე იმარჯვებს ინანას დახმარებით („407. არათას ძლიერებას ენგურიდან მოუღებ ბოლოს“) ურუქში ძვისფას ქვებთან და წიაღისეულთან ერთად მათი ოსტატებიც გადმოჰყავს [სამსონია 2009: 91]. აქვე დავიმოწმებთ „ტყავს ოქროთი“ სხვა შუმერული ტექსტიდანაც, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეხმარება:

ნანშე და ჩიტები

9. ⁴ d^ha-ia₃^{mušen} en-nu-uġ₃-ġa₂ ud mi-ni-ib₂-zal-zal-e
0. ⁴ mušen kug d^ha-ia₃^{mušen} d^ha-ia₃^{mušen} ud mi-ni-ib₂-zal-zal-e
1. ⁴ mušen ^{na}₄gug-ta gug ^{na}₄za-gin₃-ta za-gin₃
2. ⁴ ^{na}₄nir₂-ta nir₂ kug-sig₁₇ na-me-a kuš kug-sig₁₇ ġar-ra
3. ⁴ d^ha-ia₃^{mušen} tibira-e /ħu⁷-mu-ri-ib-sig₁₀-ge

49-. ფარშევანგი მთელი დღე (დღეს ატარებს) ცქერაშია; .

50-51. ნმინდა ჩიტი, ფარშევანგი, დღეს ატარებს „ჰაის“ კივილში.

52. სარდიონის (სარდიონისგან დამზადებული) წითელი ჩიტი, ლურჯი ჩიტი ლილაქვისგან, თეთრი ქალცედონისგან, ყველა სახის ოქროსგან **ტყავი ოქროთი გაწყობილი (ინკუსტრირებული)**


53. მჭედელს (სპილენძის ოსტატს) შეაძლებინებს ჩიტების მორთვას.

52-ე სტრიქონის ლურსმულ ნიშანი **kuš-ტყავი** ემთხვევა **munsub** – მუნშუბ კომპოზიციის ლურსმულ ნიშანს



ძვ.წ 3000-2000 წლამდე არაერთ შუმერულ ტექსტში ამ მნიშვნელობით და იგივე ლურსმული ნიშნით ფიქსირდება – ძვ.წ. 3000 (276-ჯერ), ძვ.წ. 2500 (2586-ჯერ) და ძვ.წ. 2000 წ (946-ჯერ). აქედან გამომდინარე შესაძლებელია, რომ **munsub** – მუნშუბ ცხერის ტყავად (სანმისი) მივიჩნიოთ, რომელიც ალქიმიის რიტუალში გამოიყენება და ოქროსთან კონტექსტი მოიხსენიება.

kuš₇ su – ლურსმული ნიშნის ალტერნატიული მნიშვნელობა არის ზედა ზღვარი, რაც ჩვენთვის საინტერესო საკითხის კონტექსტის შესაბამისია:



შუმერული ეპოსი „ენმერქარი და არათას ბატონი“ გვინახავს ცნობებს ურუქში არსებულ სხვადასხვა ცოდნისა და ტექნოლოგიების შესახებ. მათ შორის ძვირფასი ლითონებისა და სხვადასხვა ფერის ქსოვილების მიღებაც ალქიმიის ცოდნას უკავშირდებოდა. აქვე ფიქსირდება „დიდი რაოდენობის წყლის“ მართვის – ირიგაციის გარკვეული ცოდნა, რომელსაც მხოლოდ მეფე ფლობდა. ტექსტის ყველა ამოცანის შესრულებას რეფერენად შემდეგი სი-

ტყეები გასდევს: „ენქიმ ენმერქარს შეაძლებინა არსს ჩანვდომოდა“, რაც ჩვენთვის საინტერესო ნაწყვეტშიც ვიხილეთ.

შუმერულ ლურსმულ ტექსტში „ბენვიანი იარალის“ (ტყავის) დაფიქსირება ალქიმის რიტუალში, სადაც აშკარად იკვეთება ლითონის მოპოვებისა და დამუშავების განსხვავებული წესი, საინტერესო უნდა იყოს სამხრეთ კავკასიისა და ძველი ახლო აღმოსავლეთის კულტურული ურთიერთობების მომავალი კვლევებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გიორგაძე, გრ. (1982) „სანმისი“ ხეთურ წყაროებში და მისი ანტიკური პარალელები, 287-293, თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 227
- გიორგაძე გრ. (1999) ხეთოლოგიურ-ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი, ლოგოსი
- სამსონია, ნ. (2012). შუმერული პოეზია, თბილისი, „უნივერსალი“
- სამსონია, ნ. (2009), შუმერ მეფეთა ეპოსები, თბილისი „უნივერსალი“
- სამსონია ნ., (2008), შუამდინარული გლიპტიკა, თსუ გამომცემლობა
- ტატიშვილი ი., გელაშვილი ნ. (2009), კიდევ ერთხელ „სანმისის“ კულტის შესახებ ხეთურ სამყაროში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, IX, თბილისი
- Black, J. (1998), *Reading Sumerian Poetry*, London, The Athlone Press
- Cavigneaux A., Al-Rawi F.N.H, (2000) *gilgamesh et la Mort, Textes de Tell Haddad VI*. Groningen
- Collon D., (1987), *First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East*, British Museum Press
- Fahnrich Heinc, (1981), *Das Sumerische und die Kartwelsprachen*, 65-90, Georgica, IV1981
- George A.R., *The Babylonian Gilgamesh Epic*, Intraduction, Critical edition and Cuneiform texts, vol I, Oxford Unuversity press, 2003
- George, A. (2000). *The Epic of Gilgamesh* (2nd ed.). London, Great Britain: The Penguin Books
- Maddalena R., (2018), *Alchemy between the two rivers. Ancient Near East today*, ASOR
- Oppenheim L, (1966), *MESOPOTAMIA IN THE EARLY HISTORY OF ALCHEMY*; *Revue d'Assyriologie et d'archéologie orientale*, 60e Volume, No. 1, Presses Universitaires de France
- Samsonia N. Shabashvili G., (2021), „Some Ancient Roots of Kartvelian and Southern Mesopotamian Lexical Units“, pp. 157-164, *Caucasica Antiqua et Chriastiana*, ISBN 987-83651 35-07-0 edited by David Kolbaia, Volume 1. Faculty of Oriantal Studies University of Warsaw
- Vanstiphout, H. (2003). *Epics of Sumerian kings: The Natter of Arrata*, Atlanta, Society of Biblical Literature
- Veldhuis N. (2001) “the Solution of the dream: a new interpretation of Bilgames “death”, *JCS 53*
- ePSD - The Pennsylvania Sumerian Dictionary,
<http://psd.museum.upenn.edu/nepsd-frame.html>
- etcsl - electronic text corpus of Sumerian Literature, Nanše and the birds (Nanše C)
<https://etcsl.orinst.ox.ac.uk/edition2/general.php>

In the report, we will discuss lines 420-434 of the Sumerian epic "Enmerkari and the Lord of Arata", which still remains obscure for researchers. The text refers to the victory of the king of the Uruk I dynasty (XXVII-XXVI centuries BC) over the distant country Arata. The versions that have reached us are dated to the period of the Third Dynasty of Ur (XXI century BC) or the Old Babylonian periods (XX-XXVIII century BC).

Based on the context of the existing text, we must be dealing with an unknown ritual of Alchemy. With this ritual the Uruk king Enmerkar fulfills the task given by lord of Arata - to make a scepter from a special material. As the text tells us, if Enmerkar makes a scepter of such material, then Arata will be handed over to city-state Uruk.

This part of the epic should serve to present the knowledge of alchemy in Uruk, which the text tells us in detail. The king must create a special material to make the scepter, which will be neither wood nor ordinary silver and gold.

In the report, we will discuss this episode in detail, the text up to lines 420-434. We present in detail the meaning of the composites and the approximate readings. The episode begins with presenting hidden wisdom by Enki to Enmerkar (420-21).

423 we read: 423.lugal-e /munsub(sumur3?) \ [...] šu ba-ra-an-ti

The King took the one covered with hair [...]

The king begins to act, when we see that "the king picked up an unknown object covered with hair". Only the presented words can be recovered from the damaged line of the text, which is very important for the issue of interest to us. After twisting the *munsub*, he crushes the obtained material in a pestle like a plant. Here it becomes obvious that we are dealing with an ancient, well-known method of crushing metals. The next lines of the text tell us about the knowledge of obtaining certain materials, admixtures and chemical processes.

Our attempt is based on the contents of the existing text and also of the four poems of the Arata cycle to specify the word recorded in the alchemy ritual presented in the text, which looks like a furry skin and is also related to the Sumerian knowledge of alchemy.

Could we be dealing with the Kolkhi method of extracting gold from the Enguri basin and then using various impurities and the knowledge of alchemy to obtain a certain precious material.

We will also focus on the artistic features recorded in the passage of our interest - comparisons and metaphors that point to a certain location in another context, which also remains unexplained to this day.

The recording of "furry weapons" (leather?) in the Sumerian cuneiform text in the context of metal mining and processing, we think should be interesting for both Caucasian and ancient Near Eastern relations, which is a matter of future research.